



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 21

2017 წლის 23 ივნისი

ქ. ბათუმი

„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 აგვისტოს №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის, „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამტატო ნუსხით გათვალისწინებული თანამდებობის შრომითი ხელშეკრულებით დასაკავებელ პოზიციად განსაზღვრის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის 19 ივნისის №62 ბრძანებისა და „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამტატო ნუსხით გათვალისწინებული თანამდებობის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობად განსაზღვრის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის 19 ივნისის №63 ბრძანების შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს** :

1. „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 აგვისტოს №15 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 03/09/2014 სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.133.016110) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 01 ივლისიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე

ჯუმბერ ბერიძე

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის
საშტატო ნუსხა

თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეულის რაოდენობა
საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი- აპარატის უფროსი; I რანგი	1
იურიდიული განყოფილება	
საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი -იურიდიული განყოფილება. II რანგი	1
საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი -იურისტი; III რანგი	2
საქმისწარმოების განყოფილება	
საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი -საქმისწარმოების განყოფილება. II რანგი	1
საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი- საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო საკითხებში; III რანგი	4
საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-ფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში; III რანგი	1
საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი- მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში; III რანგი	1
საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-არქივის დამუშავება სისტემატიზაციის საკითხებში; III რანგი	1
ჯამი	12